

შპს „სი - აი“

2019 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლების ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

შპს „სი - აი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2019-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	2019	2018
		ლარი	ლარი
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	19,970	32,724
სულ გრძელვადიანი აქტივები		19,970	32,724
სასაქონლო მარაგები	5	80,858	145,392
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	931,363	865,863
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	298,935	197,721
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,311,156	1,208,976
სულ აქტივები		1,331,126	1,241,700
ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები		4,619	22,704
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	1,754,197	1,560,555
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,758,816	1,583,259
სულ ვალდებულებები		1,758,816	1,583,259
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		(427,690)	(341,559)
სულ საკუთარი კაპიტალი		(427,690)	(341,559)
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1,331,126	1,241,700

შპს „სი - აი“-ს დირექტორი

ირაკლი ბრეგვაძე

შპს „სი - აი“

სრული შემოსავლების ანგარიშგება 01.01.2019 - 31.12.2019 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2019	2018
		ლარი	ლარი
ამონაგები	9	1,903,114	3,288,933
ამონაგების თვითღირებულება	10	(1,649,545)	(2,856,372)
საერთო მოგება		253,569	432,561
ადმინისტრაციული ხარჯები	11	(376,245)	(504,229)
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი	12	36,545	(94,293)
მოგება დაბეგვრამდე		(86,131)	(165,961)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/ზარალი		(86,131)	(165,961)

შპს „სი - აი“-ს დირექტორი
ირაკლი ბრეგვაძე

შპს „სი - აი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2019 - 31.12.2019 პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	ჯამი ლარი
ნაშთი - 01.01.2018	-	(175,598)	(175,598)
პერიოდის მოგება		(165,961)	(165,961)
ნაშთი - 31.12.2018	-	(341,559)	(341,559)
პერიოდის მოგება		(86,131)	(86,131)
ნაშთი - 31.12.2019	-	(427,690)	(427,690)

შპს „სი - აი“-ს დირექტორი
ირაკლი ბრეგვაძე

შპს „სი - აი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს სი - აი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 01/07/2015). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ისნის რაიონი, რუსთავის გზატკეცილი, N 19, კორპუსი 3, სათავი, სართული 1,

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საქართველოში წარმოებული საქონლის, კერძოდ ელექტრო გადამცემი კაბელების შეძენა და მისი რეალიზაცია.

კომპანიის დირექტორი: ირაკლი ბრეგვაძე (პ.ნ. 01017009554)

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და გადაეცემა საკუთრების უფლება.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 20%
- არამატერიალური აქტივები - 15%
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 15% შენობის იჯარით გათვალისწინებული ვადის სასარგებლო გამოყენების ვადის შესაბამისად.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახადელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები

აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების/საქონლის მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები, გაყიდვების თანამშრომლებისთვის წარმოადგენს ფიქსირებული თანხისა და ბონუსის ჯამს. ადმინისტრაციისათვის გასამრჯელოები ფიქსირებულია და არ იცვლება, თუ არ მოხდა მათი გასამრჯელოს მატების ან ერთჯერადი წახალისებისთვის, თანხის დამატების გადაწყვეტილების მიღება. გასამრჯელოები გადაიხდება ყოველთვიურად.

3. ცვლილებები წარდგენაში

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას აღმოჩენილია გარკვეული უზუსტობები წინა წლის ანგარიშგებაში, რის გამოც დაკორექტირებულია შესაძარისი პერიოდის ზოგიერთი მუხლი. აღნიშნული კორექტირებები წარმოდგენილია ქვემოთ ნაჩვენებ ცხრილში:

	კორექტირებული 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	წინა წლის მონაცემების კორექტირება	თავდაპირველი წარდგენა
	ლარი	ლარი	ლარი
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	32,724 -	13,423	46,147
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	865,863 -	19,586	885,449
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	197,721	3,581	194,140
ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	4,619 -	19,582	24,201
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1,560,555	76,181	1,484,374
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	- 341,559 -	104,111 -	237,448

	კორექტირებული 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	წინა წლის მონაცემების კორექტირება	თავდაპირველი წარდგენა
	ლარი	ლარი	ლარი
ამონაგები	3,288,933	(13)	3,288,946
ადმინისტრაციული ხარჯები	(504,229)	(3,682)	(500,547)
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი	(94,293)	(94,293)	-

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

4. ძირითადი საშუალებები

ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ	
	ლარი	ლარი
საწყისი ღირებულება		
ბალანსი 01.01.2018	46,068	46,068
შემოსვლა	79	79
ბალანსი 31.12.2018	46,147	46,147
აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურება		
ბალანსი 01.01.2018	(6,125)	(6,125)
ცვეთა პერიოდისათვის	(7,299)	(7,299)
ბალანსი 31.12.2018	(13,424)	(13,424)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
ბალანსი 31.12.2018	32,724	32,724
შემოსვლა 2019	377	377
ცვეთა პერიოდისათვის 2019	(6,093)	(6,093)
გასვლა 2019	(7,037)	(7,037)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
ბალანსი 31.12.2019	19,970	19,970

5. სასაქონლო მარაგები

	2019	2018
	ლარი	ლარი
გასაყიდი საქონელი	77,046	145,392
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	3,812	-
სულ	80,858	145,392

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2019	2018
	ლარი	ლარი
საქონლის/მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული მოთხოვნა	931,362	865,863
გაცემული ავანსები	1	
სულ	931,363	865,863

7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2019	2018
	ლარი	ლარი
ნაღდი ფული სალაროში	188,169	87,755
ფული საბანკო ანგარიშებზე	110,765	109,966
სულ	298,935	197,721

8. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2019	2018
	ლარი	ლარი
გადასახდელი ხელფასები	181,749	134,848
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	1,572,448	1,425,707
საგადასახადო ვალდებულებები	4,619	22,704
სულ	1,758,816	1,583,259

9. ამონაგები

	2019	2018
	ლარი	ლარი
ამონაგები საქონლის/მომსახურების მიწოდებიდან	1,903,114	3,288,933
სულ	1,903,114	3,288,933

10. ამონაგების თვითღირებულება

	2019	2018
	ლარი	ლარი
გაყიდული/შეძენილი საქონელი	(1,649,545)	(2,856,372)
სულ	(1,649,545)	(2,856,372)

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

11. ადმინისტრაციული ხარჯები

	2019	2018
	ლარი	ლარი
დასაქმებულთა ანაზღაურება	(310,215)	(391,491)
ცვეთა და ამორტიზაცია	(6,093)	(7,299)
იჯარის ხარჯი	(655)	(70,915)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(59,282)	(34,524)
სულ	(376,245)	(504,229)

12. არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი

	2019	2018
	ლარი	ლარი
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	33,252	(90,638)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	3,293	(3,655)
სულ	36,545	(94,293)

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე (28.09.2020)
კომპანიაში ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს

14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია
2020 წლის 28 სექტემბერს.

შპს „სი - აი“-ს დირექტორი
ირაკლი ბრეგვაძე _____

შპს „სი - აი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2019-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	2019	2018
		ლარი	ლარი
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	19,970	32,724
სულ გრძელვადიანი აქტივები		19,970	32,724
სასაქონლო მარაგები	5	80,858	145,392
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	931,363	865,863
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	298,935	197,721
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,311,156	1,208,976
სულ აქტივები		1,331,126	1,241,700
ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები		4,619	22,704
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	1,754,197	1,560,555
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,758,816	1,583,259
სულ ვალდებულებები		1,758,816	1,583,259
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		(427,690)	(341,559)
სულ საკუთარი კაპიტალი		(427,690)	(341,559)
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1,331,126	1,241,700

შპს „სი - აი“-ს დირექტორი
ირაკლი ბრეგვაძე




შპს „სი - აი“

სრული შემოსავლების ანგარიშგება 01.01.2019 - 31.12.2019 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2019	2018
		ლარი	ლარი
ამონაგები	9	1,903,114	3,288,933
ამონაგების თვითღირებულება	10	(1,649,545)	(2,856,372)
საერთო მოგება		253,569	432,561
ადმინისტრაციული ხარჯები	11	(376,245)	(504,229)
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი	12	36,545	(94,293)
მოგება დაბეგვრამდე		(86,131)	(165,961)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/ზარალი		(86,131)	(165,961)

შპს „სი - აი“-ს დირექტორი
ირაკლი ბრეგვაძე



შპს „სი - აი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2019 - 31.12.2019 პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	ჯამი ლარი
ნაშთი - 01.01.2018	-	(175,598)	(175,598)
პერიოდის მოგება		(165,961)	(165,961)
ნაშთი - 31.12.2018	-	(341,559)	(341,559)
პერიოდის მოგება		(86,131)	(86,131)
ნაშთი - 31.12.2019	-	(427,690)	(427,690)

შპს „სი - აი“-ს დირექტორი
ირაკლი ბრეგვაძე



13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე (28.09.2020)
კომპანიაში აღდგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს

14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია
2020 წლის 28 სექტემბერს.

შპს „სი - აი“-ს დირექტორი
ირაკლი ბრეგვაძე

